სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N 307/06

ქ. თბილისი **2023 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, გიორგი შამათავა სახით და მეორეს მხრივ, შპს „EMD Group“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის, დავით თევდორაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სტუდენტური სამეცნიერო პროექტის, „მარეგულირებელი T(Trega) და TH17 უჯრედების რაოდენობრივი თანაფარდობის შეფასება საკვერცხის კისტის მქონე პაციენტების სისხლში“ დაფინასების ფარგლებში, ფარმაცევტური პროდუქტების CPV33600000 სახელმწიფო შესყიდვა.
(CPV33696200-რეაქტივები სისიხლის ანალიზისათვის; CPV33696300-ქიმიური რეაქტივები; CPV33696500-ლაბორატორიული რეაქტივები)
2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერილობა მოცემულია დანართი 1 ში.
3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **15 200.00** (თხუთმეტი ათას ორასი ლარი და 00 თეთრი) **ლარს**.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
4.1. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტი ხელმძღვანელი მაია ტერელაძე.

4.2. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული ან მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ხარისხის კონტროლს.
4.3. ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.
4.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდბელს“ საბოლოო შემოწმების შედეგი დაწუნებული საქონლის (მომსახურების) დასახელების და წუნდების მიზეზის მითითებით.
4.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა.
4.6. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების, ინსპექტირების დადებითი დასკვნის გამოუწერლობის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ შეუჩერდება დაფინანსება, ხოლო საკითხის 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილება მასთან ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე ყველა რისკი მოსაწოდებელი შესყიდვის ობიექტის (საქონლის) შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული რისკები გადადის შემსყიდველზე.
5.4. მომსახურების შესრულების დღედ მიიჩნევა მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.
5.5. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 06 მარტის N52/02/01 ბრძანების საფუძველზე, უფლებამოსილი პირ(ებ)ია: თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი - მანონი ჯოჯუა და თსუ სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილე - ელგუჯა ობოლაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები
6.1 მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #1
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან კვალიფიციური ელ. ხელმოწერის ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე.
6.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს შესყიდვის ობიექტის მოწოდების პირობებში ცვლილებები ურთიერთშეთანხმების გარეშე.

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები
7.1. შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
7.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბაისად მიღება-ჩაბარების აქტისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან და ინსპექტირების დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
7.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
8.1. ხელშეკრულების 2.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული ნივთის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
8.3 წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
8.4 იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევ მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) %-ს, მეორე მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
9.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2 მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების პირობების მე-8 მუხლით.
9.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.მხარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეატყობინოს მეორე მხარეს, სადაც მითითებული იქნება მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;
9.4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ვადაზე ადრე იქნება შეწყვეტილი.
ბ) თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
9.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.6. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით;
9.7. ხელშეკრილების 9.4. პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება;

10. დაუძლეველი ძალა
10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია და საგარანტიო მომსახურების პირობები

12.1მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი იქნება ახალი, ქარხნული წარმოების. საქონელი შეფუთული უნდა იყოს მწარმოებლის მიერ ბრენდირებული შეფუთვით, ქარხნულად დაბეჭდილი, მწარმოებლის მითითებით. მოწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 12.1 პუნქტით არსებულ სტანდარტებს.

12.2 საქონლის მიღებისას ინსპექტირების პროცესში ქარხნული წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს შესყიდვის ობიექტი ახლით, წუნის/ხარვეზის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

12.3 იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა იმ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე, რომლის შესრულებისთვის დადგენილია განსხვავებული ვადები.

14. სხვა პირობები

14.1ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად.

14.2 შემსყიდველის მხრიდან აღნიშნულ შესყიდვაში მონაწილე და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირ(ებ)ი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი:ქ.თბილისი; ი.ჭავჭავაძის გამზ. №1

რეკვიზიტები:

<u>საკუთარი სახსრები</u>

საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

მიმწოდებელი

შპს „EMD Group““

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 95, სართული II, ფართი 21ა

საბანკო რეკვიზიტები:
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა N: GE48TB7543336080100001
საიდენტიფიკაციო კოდი: 426109748

EMD Group LLC
Digitally signed by EMD Group LLC
Date: 2023.04.19 15:08:07 +04'00'

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Digitally signed by LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Date: 2023.04.19 14:41:53 +04'00'

დანართი 1

კატალოგის ნომერი	პროდუქციის დასახელება	რაო.	ერთ.ფასი	სულ
1P-816-T100	Anti-Hu CD4 PE-100 tests	1	830	830,00 ლარი
1F-218-T100	Anti-Hu CD25 FITC-100 tests	1	680	680,00 ლარი
1A-601-C100	Anti-FoxP3 APC-0.1 mg	1	1 050	1 050,00 ლარი
17-7179-42	IL-17A Monoclonal Antibody (eBio64DEC17), APC 100T	1	2 000	2 000,00 ლარი
25-0037-42	CD3 Monoclonal Antibody (OKT3), PE-Cyanine7	1	1 300	1 300,00 ლარი
T7-724-C100	Mouse IgG2a Isotype Control PE-Cy™7	1	790	790,00 ლარი
1A-632-C100	Mouse IgG1 Isotype Control APC-0.1 mg	1	680	680,00 ლარი
1F-632-C100	Mouse IgG1 Isotype Control FITC-0.1 mg	1	570	570,00 ლარი
1P-724-C100	Mouse IgG2a Isotype Control PE-0.1 mg	1	680	680,00 ლარი
424401	True-Nuclear™ Transcription Factor Buffer Set 120	1	1 520	1 520,00 ლარი
H8264-1L	Hanks' Balanced Salt solution	1	580	580,00 ლარი
11875093	RPMI 1640 Medium 500ML	1	300	300,00 ლარი
219083780	Histopaque® 1077, 100 Ml	1	1 200	1 200,00 ლარი
875B601	NovoFlow sheath fluid (1X, 10L	1	350	350,00 ლარი
872B602	NovoClean solution (1X, 500mL)	1	504	504,00 ლარი
872B603	NovoRinse solution (1X, 500mL)	1	466	466,00 ლარი

423304	Cell Activation Cocktail (with Brefeldin A) 400 µL	1	1 600	1 600,00 ლარი
0	Flow Cytometry Tube 5 ml sterile -	1	100	100,00 ლარი
სულ ჯამი				15 200,00 ლარი